პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 184 (19925) სამშაბათი, 11 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

უხვი მინდორი

მცხეთის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სადისპეტჩეროში მიიღეს ცნობა: რაიონში დამთავრდა პურეულის აღება. გეგმით გათვალისწინებული 4 ათასი ტონის ნაცვლად, აღებულია 5.270 ტონა მარცვლეული. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს მცხეთის ექსპერიმენტული მეურნეობის, ძალისის, ნატახტრის, დიღმის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-მთესველებმა. 1680 ჰექტარი ფართობიდან ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 30 ცენტნერი მარცვლეული, რაც საგეგმოზე 8 ცენტნერით მეტია.

— მკის დროს მუშაობდა ორმოცამდე კომბაინი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარემ სოსო კავსაძემ, — ბევრი ავტომანქანა. მთელი ძალები მოხმარდა იმას, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დაგვემთავრებინა მოსავლის აღების კამპანია.

მკის დროს კარგ შედეგებს აღწევენ მცხეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელებიც. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილი და არარენტაბელური მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. კითხვაზე, თუ რის შედეგად მიაღწიეს აქ წარმატებებს, დირექტორმა ვალერიან თვაურმა თქვა: — უწინარეს ყოვლისა, რაციონალური მეურნეობრიობის გზით. ყველა ბრიგადა გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. მაქსიმალურად ვიყენებთ რესურსებს — ტექნიკის შესაძლებლობებს, სასუქებს, რწყვას.

ამის შედეგად მეურნეობამ მრავალი წლის მანძილზე პირველად ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად 35 ცენტნერი მარცვლეული აიღო. ყოველდღიურად ერთ-ნახევარ-ორ ნორმას ასრულებდნენ სულიკო ირემაშვილის ეკიპაჟი, სხვა მექანიზატორები.

რესპუბლიკაში მთავრდება პურეულის მკა. აგვისტოს დამდეგისათვის სამარცვლე და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (სიმინდის ჩათვლით) აღებულია გეგმით გათვალისწინებული 144.900 ჰექტარიდან ასი ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე.

პარტიის ძირეული რგოლის მისია და ამოცანები

როგორც მთელ კავშირში, ისე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ძირეულ რგოლებში **დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.** დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა გარდაქმნის, საჯაროობისა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავებისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძირეული რგოლების, თითოეული პარტჯგუფორგის მუშაობას. ვ. ი. ლენინი, ქმნიდა რა ჩვენს პარტიას, აღნიშნავდა, თუ რაოდენ საჭირო იყო მიგვეღწია იმისათვის, რომ პარტიის ძირითად ორგანიზაციულ უჯრედად საქმით და არა სიტყვიერად გამხდარიყვნენ ქვემდგომი ორგანიზაციები. სოციალისტური მშენებლობის პირობებში ვლადიმერ ილიას ძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიის ძირეული რგოლები, „ეწევიან რა საგიტაციო, საპროპაგანდო, ორგანიზაციულ მუშაობას, მიუდგებიან რა საზოგადოებრივი ცხოვრების უყლებლივ ყველა დარგს, მშრომელი მასის უკლებლივ ყველა ჯგუფსა და ნაწილს, — ასეთი მრავალმხრივი მუშაობით სისტემატურად უნდა ზრდიდნენ თავის თავსაც და პარტიასაც, კლასსაც და მასასაც“.

გარდაქმნის ეტაპზე პირველადი ორგანიზაციების როლის გაზრდა უწინარეს ყოელისა განპირობებულია ჩვენი ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თანამედროვე ტენდენციებით.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პროცესში სრულიად ნათლად უნდა გამოჩნდეს: სწორედ ძირეულ ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ სკკპ XXVII ყრილობის და ყრილობის შემდგომი პლენუმების გადწყვეტილებები კონკრეტულად ისხამდეს ხორცს შრომითი კოლექტივის ყოველდღიური პრაქტიკით. ეს კი ნიშნავს, რომ ყველგან ზუსტად უზრუნველყოფდეთ საგეგმო დისციპლინას, თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ გარდაქმნას, ,,ხელს ვუწყობდეთ საჯაროობისა და დემოკრატიის გაფართოებას, ,,ვიცავდეთ სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტს, ,,ებრძოდეთ უდისციპლინობას, კუთხურობას, უწყებრიობის გამოვლინებებს. საჭიროა, რომ ძირეული რგოლის კომუნისტები, პარტჯგუფორგები მშრომელებს უნერგავდნენ თავისი შრომის შედეგების კეონომიკური. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მკაფიო გაგებას.

პარტიული ორგანიზაციების მრავალწლიანმა საანგარიშო-საარჩევნო პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ თუ ძირეულ რგოლებს არ ვეყოდნობით, დღეს ვერც სოციალური განვითარების ამოცანებს გადაჭეწყვეტთ წარმატებით. აქ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტჯგუფორგის პრინციპულობას, ცოდნის დონეს, მისი პარტიული აზროვნების სიმაღლეს. „ძალზე საჭიროა, რომ ახლანდელ ეტაპზე, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელ ივნისის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — მასშტაბური პრაქტიკული საქმეების ეტაპზე — პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ საზოგადოებრივ გარდაქმნათა ყველაზე აქტიური მომხრენი, პრინციპული ადამიანები, რომლებსაც ესმით დროის მოთხოვნა და რომლებიც იქნებიან გარდაქმნის ნამდვილი „ინჟინრები“, ძალ-ღონეს რომ არ დაიშურებენ მისი წარმატებისათვის“. რესპუბლიკაში მრავლად არიან გარდაქმნის ისეთი „ნამდვილი „ინჟინრები“, რომლებიც პარტიულ რგოლს, მთელს შრომითს კოლექტივს მტკიცედ მიუძღვებიან წინ სახელმწიფო გეგმავალდებულებების შესასრულებლად, სიახლის დასანერგავად.

უწინარესად უნდა დავასახელოთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ფლაგმანი — თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია. „ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ინიციატივა, — ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, — რომელმაც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა მიაღწიოს პროდუქციის, კერძოდ სახალხო მოხმარების საქონლის არსებით განახლებას, დააჩქაროს საწარმოთა გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე, ამასთან აქტიურად გამოიყენოს საამისოდ ამასწინათ შექმნილი სამეურნეო-საანგარიშო საკონსულტაციო ორგანიზაციის „უინანსების“, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების შესაძლებლობები და ეფექტიანად აამოქმედოს ქალაქის მთელი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. სასიხარულოა, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაცია კვლავ დგება განახლებისა და პროგრესისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, ეძებს გარდაქმნის დაჩქარების გზებს“.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცებაში უმნიშვნელო როლს ოარულებენ მოწინავე პარტჯგუფორგები. ერთ-ერთი მათგანია საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ ამწყობ საამქროს მაგნიტური გამშვების 211-ე უბნის ამწყობი ზეინკალი ლ. ჰოპიაშვილი, რომელიც ზედიზედ 5-ჯერაა არჩეული უბნის პარტიული რგოლის წინამძღოლად და, როგორც ეტყობა, წელსაც ისევ ის უნდა აირჩიონ. ამ ორიოდე დღის წინ გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მშურლავთა ბრიგადის ექსპაციამ პარტჯგუფმა თავის ლიდერად უკვე მეოთხედ აირჩია მ. კარიაული. იმედია, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ძირეული რგოლის კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პირუთვნელად იმსჯელებენ თავიანთ ავ-კარგზე, წარმატების მიღწევის საშუალებებს სხვებსაც გაუზიარებენ და გადასაჭრელი პრობლემების გზებსაც დასახავენ.

რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან რედაქციაში სისტემატურად შემოდის მშრომელთა წერილები, რომლებშიც ლაპარაკია შრომითი კოლექტივის საჭირბოროტო პრობლემებზე, კომუნისტების ავანგარდულ როლსა და წარმმართველ ძალაზე. „ჩვენი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ყველაზე ადრე დაინერგა კოლექტიური იჯარა, — გვწერს ზუსტაფონის რაიონის არგვეთის მევეანსეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის საიჯარო ბრიგადის ბრიგადირი გ. მჭედლიძე, — რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიეყიდა. შესაბამისად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური წახალისებაც. ამ წარმატებაში კი გადამწყვეტი სიტყვა თქვეს. ძირეული რგოლის კომუნისტებმა. და ეს არც გასაკვირი, ვინაიდან, თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ პროდუქციის წარმოების ყველა უბანზე მეტწილად ძირეული რგოლის კომუნისტები იღვწიან“. ძნელია არ დაეთანხმო არგვეთელ გამოცდილ ბრიგადირს. მართლაც, როცა პლენუმზე ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი შეეხო საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, რომელიც გაიმართება მხოლოდ იმ პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებშიც 15 კომუნისტზე ნაკლებია, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რაოდენობრივად და კომუნისტთა რიცხვის მიხედვით — ეს რესპუბლიკური პარტორგანიზაციის ნახევარზე მეტია. სწორედ ძირეული რგოლები ხდებიან ახალი სამეურნეო მექანიზმის საფუძველი, სწორედ ისინი განსაზღვრავენ ზნეობრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროს ჩვენს საზოგადოებაში“.

რესპუბლიკის შრომითი ნობათები აშკარად მეტყველებენ წინსვლასა და გარდაქმნაზე. მაგალითად, ჩოხატაურის სოფელ ნიდბოთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა 22 მაისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსადმი რძის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. ზუგდიდის ნარაზენის კოლმეურნეობამ წინა წელთან შედარებით წელს რძის წარმოება 110 ტონით გაზარდა, ზუსტაფონელმა მეცხოველეებმა ჯერ კიდევ 16 ივნისისათვის 101-105 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის ნიკიდვის გეგმა. ლაგოდეხელმა და გურჯაანელმა მემინდვრეებმა გადაჭარბებით შეასრულეს პურეულის დამზადების გეგმა. ფოთის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმას 6,8 პროცენტით გადაამტა, ხოლო ტყიბულის ელექტромექანიკური სახელოსნოს ბევრმა კომუნისტმა უკვე შეასრულა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის პირადი გეგმა.

მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება, მაგრამ ძირეული რგოლის კომუნისტებმა არამდაარამე არ უნდა დაივიწყონ, რომ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო თუ სამედიცინო სფეროს — ერთი სიტყვით, სადაც შათ უხდებათ მოღვაწეობა, — ბევრ უბანზე ჯერ კიდევ არის ჩამორჩენა, გეგ^ების ჩავარდნა, მომვეებულობა, უდისციპლინობა, რესურსების უყაირათოდ ხარჯვა, გულგრილობა, ლოთობა, სახელმწიფო ქონების დატაცება და სხვა ნეგატიური მოვლენები. ყოველივე ეს უნდა გახდეს კომუნისტების მეაცრი, პირუთვნელი მჯელობის საგანი, რათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ თავიანი მისია სრულყოფილად შეასრულოს და გარდაქმნისათვის დასახული ღონისძიებებიც რეალური და ნაყოფისმომცემი გამოდგეს.

შრომითი ქრონიკა

ალმასვლა

რვა კლასი რომ დაამთავრა, გოჩა ბებაშვილმა სწავლა განაგრძო ტყიბულის № 19 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში. აქ დაეუფლა ელექტროზეინკლის რთულ პროფესიას. შემდეგ, ცენტრალურ ელექტროტექნიკურ სახელოსნოში გაგზავნეს სამუშაოდ.

საწარმოს მშრომელები ნიადაგ აკვირდებოდნენ ახალბედას და რწმუნდებოდნენ, რომ საქმიანი, პრინციპული ახალგაზრდა შეემატათ. მართლაც, პირველი დღეებიდანვე მოწონებულია შორის დაიმკვიდრა ადგილი. მალე ჭაბუკი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. კოლექტივმა გულთბილად გააცილა მხედრული ვალის მოსახდელად.

სწრაფად გაირბინა ორმა წელმა, და გოჩა კვლავ მშობლიურ საწარმოში დაბრუნდა. არმიაში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა ბევრ რამეში. და აი შედეგიც: გეგმების შესრულების მაჩვენებლებმა 150 პროცენტს გადააჭარბა.

ამ წარმატებებისათვის გ. ბებაშვილი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სგელით დაჯილდოვეს და საწარმოს სპორტული სექტორის ხელმძღვანელად დაწინაურეს.

გარჯის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულმა ახალგაზრდამ თანამოსაქმეებს პირობა მისცა, რომ ხუთწლედის ორნახევარი წლის ნორმაც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულებს. საწარმოში სწამთ, რომ გოჩა სიტყვას არ გატეხს. (საქინფორმი).

შეკვეთები — ვადამდე

„საქსოფლქიმიის“ ტორფის მოპოვების ფოთის სპეცგაერთიანების კოლექტივმა წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით ათასობით ტონა ტორფი მიაწოდა დამკვეთებს.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავი შრომითი ვახტის დღეებში თავი ისახელეს მექანიზატორებმა გ. კუპრაძემ, ო. მარშანიშვილმა, გ. კოსტავამ და სხვებმა.

ოკეანეებს სერავს „ბათუმი“

ბათუმი. (საკ. კორ.). ბოლო ხანს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფეიმატა 2 ხომალდი — „მხატვარი ფიროსმანიშვილი“ და „ფოთი“.

მალე სანაოსნოში ახალი ხომალდი — „ბათუმი“ შემოვა. იგი საერაძნეთის ნავსადგურში დგას და შინ წამოსასვლელად ემზადება, სხვა ხომალდებისაგან განსხვავებით, „ბათუმს“ ერთდროულად ოთხი სხვადასხვა სახეობის ტვირთის მიღება შეუძლია.

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება მოწინავეა როგორც რესპუბლიკის მრეწველობაში, ისე თავის დარგში ქვეყნის მასშტაბით. აქ მიზანმიმართულად, გრაფიკის დაცვით ხორციელდება ყველა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიება. ყველაფერი კეთდება წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის მიწოდების ვალდებულების უფოო შესრულებისათვის.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს საწარმოს მრავალი მუშა. მათ შორის არის მბურღავი ქეთევან უამუტაშვილი, რომელიც ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ კარგი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: ქეთევან უამუტაშვილი.

ა. საბაკოვის ფოტო.

გამარჯვებულნი

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგები. თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენისა, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის კოლექტივებმა მოიპოვეს გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის არიან აგრეთვე სოხუმის სადგურის, თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, ერევნის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული დისტანციისა და რკინიგზის ტრანსპორტის სხვა საწარმოების მშრომელები.

დარჩევარების სტრატეგია

გაზეთ „კომუნისტის შარშანდელ სექტემბრის ნომერში რუბრიკით „სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს“ მასალაში „ასეთი უიმედობა?“ ლაპარაკი იყო ქ. ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის კოლექტივის ქრონიკულ ჩამორჩენაზე.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა სტატისტიკური მონაცემებით, ქალაქის ერთადერთმა ჩამორჩენილმა საწარმომ დაძლია ჩამორჩენა და შედარებით მოკლე დროში სტაბილურად დაიწყო მუშაობა.

რა მოხდა, რამ შეუწყო ხელი ასეთ სასიკეთო შემობრუნებას კოლექტივში? ამის გაგების სურვილით მივედით პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში.

— ჩვენ ძალიან გვაწუხებდა კოლექტივის ქრონიკული ჩამორჩენა, — გვითხრა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ბერაიამ, — მაგრამ, ალბათ, რაღაცა დავაკელით, მხარში ვერ ამოვუდექით საწარმოს ხელმძღვანელობას ჩამორჩენის დასაძლევად. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ვერა და ვერ გადაწყდა პროფილის მიხედვით რომელიმე საკავშირო გაერთიანებისადმი ქარხნის დაქვემდებარების საკითხი. იყო სხვა ობიექტური მიზეზებიც, ქარხნისადმი სათანადო ყურადღებას არ იჩენდა სსრ კავშირის ელექტротექნიკური მრეწველობის სამინისტროს შესაბამისი სამმართველო. საქმე იქამდე მივიდა, რომ წარმოებას 1982 წლიდან არ შეუსრულებია არც პროდუქციის გამოშვების და არც მისი რეალიზაციის გეგმები. 1985 წელს ქარხანამ სახელმწიფოს დააკლო 1280 ათასი მანეთის პროდუქცია.

გაზეთ „კომუნისტის“ აღნიშნულ გამოსვლას ობიექტური შეფასება მივეცით და იგი განვიხილეთ საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, მივიღეთ კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. განვახორციელეთ „ქირურგიული“ ჩარევა, შევცვალეთ ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების წამყვან პროფესიათა ინჟინერ-ტექნიკური ძუშაკები. თუ კოლექტივის შესახებ რაიმეს დაწერას ამირებთ, — გვირჩია მდივანმა, — უმჯობესია თვითონ ნახოთ და დარწმუნდეთ იმაში, თუ რა სასიკეთო ძვრები მოხდა ქარხანაში.

ჩვენც ეს გვქონდა გადაწყვეტილი. ვეცნობით კოლექტივის საქმიანობას. ქარხანაში ხელმძღვანელობა გასული წლის მესამე კვარტლის მიწურულს შეიცვალა. მას სათავეში ჩაუდგა ინჟენერი ვ. ხოხობაია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ქალაქის მრეწველობის ფლაგმანის — ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი-გემთსაშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილედ. სახელოვან კოლექტივში აქტიურ და წამყვან პოზიციებზე მუშაობამ მას კარგი გამოცდილება შესძინა როგორც ხელმძღვანელსა და ინჟინერს. ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანა მისთვის უცხო არ იყო, 1977-1981 წლებში იგი ხომ ამ კოლექტივს მეთაუროობდა.

ქარხნის შრომითი კოლექტივი ახალ დირექტორს მოწონებით შეხვდა. აი, ვის შეუძლია ჩვენი სატკივარი გაიგოს, აი, ვინ გამოგვიყვანს ჩამორჩენიდან — ასეთი იყო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო აზრი. არც წარმოების ახალი მთავარი ინჟენერი უ. გეგეჭკორი იყო კოლექტივისათვის შემოხვევითი კაცი. აქ დაიწყო მან შრომითი მოღვაწეობა რიგით მექანიკოსად. შემდეგ კი ქალაქის სამრეწველო საწარმოებში მუშაობდა, დაამთავრა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია მიიღო. უ. გეგეჭკორმ ქალაქის ტექნიკურ ინტელიგენციაში ერთ-ერთი პერსპექტიული და მცოდნე ინჟინრის რეპუტაცია დაიმკვიდრა. წარმოებაში დაბარუნეს აგრეთვე მისი ყოფილი მთავარი მექანიკოსი გ. როყვა.

კადრების ძირეულმა გადახალისებამ, ტექნიკურ საკითხებში ღრმა წვდომამ კოლექტივს შესაძლებლობა მისცა უმოკლეს დროში მოეხდინა ძირფესვიანი გარდაქმნა. ამ პროცესს საგრძნობლად შეუწყო ხელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებამ, გარდაქმნის მომენტების იდეოლოგიურმა უზრუნველყოფამ, კომუნისტების მზარდმა აქტიურობამ და მინდობილ უბნებზე მათი პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებამ.

შედეგმა არ დააყოვნა: ქარხანამ, პირველად ხუთი წლის მანძილზე 104 პროცენტით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის, სასაქონლო პროდუქციის წლიური დავალებანი: სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 100,6 პროცენტით, პროდუქციის წლიურმა რეალიზაციამ მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების დაცვით 99,2 პროცენტს მიაღწია. უფრო ნაყოფიერად იმუშავა კოლექტივმა საიუბილეო წელს.

ქარხნის კოლექტივი, ფაქტობრივად, ჩაბმულია პროდუქციის სახელმწიფო მიღების პროცესში. მის მიერ დამზადებული ნაკეთობანი, მაკომპლექტებელი დეტალები და კვანძები, რომლებსაც 400-ზე მეტი საწარმო ღებულობს, გადასულია პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. აბა, რა იქნება ის სარეცხი მანქანა, რომელსაც ჩგბოქსარში უშვებენ, თუ მისი მთავარი ნაწილი — ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის მიერ მიწოდებული ძრავა უხარისხო გამოდგა? ამ დიდ პასუხისმგებლობას კარგად გრძნობდნენ მუშები, სპეციალისტები, მთელი კოლექტივი.

როცა ქარხნის შრომითი კოლექტივის საქმიანობას ვეცნობოდით, მისი დირექტორი თბილისში იყო მივლინებით, მთავარმა ინჟენერმა საფუძვლიანად გააანალიზა კოლექტივში შექმნილი ვითარება, გაგვარკვია სამომავლო გეგმებში. საქმე ის არის, რომ მთავარი ინჟინერი ღრმად ერკვევა როგორც ტექნიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებში, იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, რა გზით მოხდება ქარხნის ტექნიკური განახლება, ტექნოლოგიური პროცესების თანდათანობითი შეცვლა, რა მოგებას მისცემს წარმოებას პროდუქციის ნომენკლატურის გადახალისება და შემდგომში როგორ უნდა განმტკიცდეს პარტნიორებთან ურთიერთობა.

წარმოების ჩამორჩენიდან გამოსვლა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. ერთი ხელის დაკვრით ყველა პრობლემა არ მოხსნილა, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ქარხნის ახალი, თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით აღჭურვამდე შორი გზაა გასასვლელი, კოლექტივს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევს, მას მძიმე ტვირთად აწევს წინა წლებში ცუდი მუშაობის შედეგები. არის მტკიცე დაპირება, და ქარხნის ხელმძღვანელებიც დარწმუნებული არიან, რომ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო პირველი კვარტალის კარგი მუშაობის გათვალისწინებით მათ ჩამოუწერს ორი მილიონი მანეთის დავალებას და, როგორც იტყვიან, ბალანსს გაასუფთავებენ. ქარხანას ცალკეული დეტალის გამოშვება გეგმით ნავარაუდევზე ჯერ კიდევ ძვირი უჯდება. ესე, მაგალითად, „ავე-071-4“ მარკის სარეცხი მანქანის თითოეული ძრავის თვითღირებულებამ გათვალისწინებული 11 მანეთი და 60 კაპიკის ნაცვლად 14 მანეთს მიაღწია. დროულ გადაწყვეტას ელოდება მუშათა კოლექტივის ბევრი სოციალური საკითხი. აქვე უნდა ითქვას, რომ „საქელექტრომანქანის“ რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის ქარხანა, ბოლო პერიოდში უფრო კონკრეტულ და კვალიფიციურ დახმარებას უწევს მას რენტაბელობის მიღწევისათვის.

საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების მთავარ მომენტებს კოლექტივება მიაგნო და თავისი საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას მოარგო. მთელი ძალით ამოქმედდა დაჩქარების ბერკეტები და თავის ძალებში დარწმუნებული კოლექტივი გულდაჯერებული მიუყვება არჩეულ სწორ გზას.

მკითხველს ბუნებრივად დაებადება შეკითხვა: სად არის ამჟამად ქარხნის ყოფილი დირექტორი თ. გოგოლი? პარტიის საქალაქო კომიტეტმა ახალგაზრდა ინჟინერს რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფო მიღების ორგანოს ხელმძღვანელის პასუხსაგებ თანამდებობაზე (ფოთის მიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში, სადაც იგი გასული წლის სექტემბრიდან მუშაობს და კარგი შედეგებითაც.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დარწმუნდა კოლექტივი თავის ძალაში

პედაგოგები პლანტაციებში

მახარაძე. (საკ. კორ.). ასკანის საშუალო სკოლის პედაგოგები არდადეგებს მშობლიურ სოფელში ატარებენ და მეჩაიეთა მხარდამხარ მუყაითად შრომობენ. ამ მხრივ გამოირჩევიან პედაგოგები ნ. ჯაველიძე, ნ. ნიკოლაიშვილი, კ. ნინიძე, დ. შევარდნაძე, ლ. ნინიძე, მ. ერქომაიშვილი. მათ 3-3 ტონა ჩაის ფოთოლი აქვთ მოკრეფილი. მასწავლებლები მეჩაიეებს არ ჩამორჩებიან, კრეფის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

კოსმონავტებს ჯილდოები გადაეცათ

საბჭოთა კავშირისა და სირიის მრავალმხრივი მზარდი თანამშრომლობის გზაზე ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა საბჭოთა და სირიელი კოსმონავტების წარმატებული ფრენა. „ბირ“ ორბიტულ კომპლექსში საერთაშორისო ეკიპაჟმა მთლიანად შეასრულა ორი ქვეყნის მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მომზადებული ერთობლივი ექსპერიმენტების პროგრამა, რომლებსაც დიდი სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

„მირ“-„სოიუზ“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მგორობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ა. ს. ვიქტორენკო დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ medlით.

სირიელ კოსმონავტს მუჰამედ აჰმედ ფარისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადასცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ medlი. სირიის მოქალაქე, მკვლევარი კოსმონავტი მუნირ ჰაბიბ ჰაბიბი დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

10 აგვისტოს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. ნ. დემიჩევმა კოსმოსის მამაც დაპყრობლებს სალამო ჯილდოები გადასცა. (საკინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გარდაქმნა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სსრ კავშირის სტატისტიკის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. მიხეილ ანტონის ძე **კოროლიოვი** სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სუსხიანი სტრიქონები

როგორ გადავაჭარბოთ გეგმას

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაკებმა გამოავლინეს გეგეკორის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებში საანგარიშგებო დისციპლინის უხეში დარღვევები.

მაგალითად, რესპუბლიკური გაერთიანების „საკაგრომშენის“ № 5 ტრესტის გეგეკორის სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის საწარმოო სამძლავრეთა ამოქმედების გეგმისა და საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულების საანგარიშგებო მონაცემებში ნაჩვენებია, რომ საექსპლოატაციოდ არის გადაცემული სოფელ სალხინოს ჩაის მიკროფაბრიკა და ამავე ორგანიზაციის დამხმარე ქვის დამამუშავებელი საწარმო, მაშინ როცა ჩაის ფაბრიკის მთავარ საწარმოო კორპუსში მთლიანად არ არის დაყენებული მოწყობილობა და საქვაბეც კი არ აუშენებიათ. ანალოგიური მდგომარეობაა ქვის დამამუშავებელ წარმოებაში. არც აქ დაუყენებიათ მთლიანად მოწყობილობა საწარმოო კორპუსში, არ დამთავრებულა კორპუსში გათბობის გაყვანის სამუშაოები, არ არის აშენებული საქვაბე. არადა, მთელი ეს სამუშაოები პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული.

ამავე ორგანიზაციაში ხდება ფაქტები, როდესაც უხეშად ირღვევა გამომუშავების გეგმის შესრულების, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის განსაზღვრის, სამუშაო დროის გამოყენების საანგარიშგებო მონაცემები. მაგალითად, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვის მაჩვენებლის 33-ით შემცირების შედეგად გამომუშავება წამატებულია 1808 მანეთით, ხოლო მისი შესრულების დონე — 19,5 პროცენტუელ პუნქტით.

არ არის სარწმუნო არც სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელთა მონაცემები, სადაც გამოვლინდა თვალისახვევის ფაქტები 1986 წლის მანძილზე მუშების მიერ სამუშაოს გაცდენის მაჩვენებლის მიხედვით. შემოწმების მონაცემებით,

პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის ფაზაგი და შედეგი

უპირველესი ბიბლიოთეკის ავ-კარგი

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი გარდაქმნის აუცილებლობას დაემორჩილა, საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კოლექტივი, მისი სამოცდაცამეტი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — ზ. ბერიკაშვილი) განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას.

ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უდიდესია საბჭოთა კავშირში, მისი მუდმივი მკითხველები დათაყვანისცემლები სიყვარულით ქართველი ერის მეხსიერებას უწოდებენ. ამაში არაფერია გაზვიადებული და გადაჭარბებული: დღეისათვის მისი წიგნის ფონდი 15 მილიონზე მეტ ბიბლიოთეკურ ერთეულს შეიცავს (ოდენი ყველა დარგში. ბიბლიოთეკის ფონდი ათასობით გამოცემათა ფონდიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართული წიგნის კოლექციები: რომში დაარსებულ ქართულ სტამბაში 1629 წელს დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნი ქართული ნაბეჭდი ტექსტით „ქართულ-იტალიური ლექსიკონი", რომელიც ქართული ბიბლიოგრაფიის მიხედვით დაცულია მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში და ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, „ქართული ენის გრამატიკა", დასტამბული ასევე რომში 1670 წელს, 1705 წელს მოსკოვში არჩილ I-ის მიერ დაბეჭდილი „დავითნი", ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში დაარსებულ სტამბაში 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" და სხვა.

ყოველდღიური სარგებლობისათვის ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად 68 ათასი სახელწოდების წიგნი, 1890 სახელწოდების ჟურნალი და 383 სახელწოდების გაზეთი შედის ქართულ, რუსულ, სსრ კავშირის ხალხთა და საზღვარგარეთის ხალხთა 15 ენაზე. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები ერთდროულად 700-მდე მკითხველს იტევს და ყოველთვის გადატვირთულია, ზშირია რიგიც, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებში საგამოცდო სესიების დროს. ამიტომ საჭიროა მკითხველთა დიფერენცირებული მომსახურების შემდგომი სრულყოფა, ახალი დარბაზების გახსნა, ფონდების უკეთ ორგანიზება. ბიბლიოთეკაში ყოველდღიურად დადის 2 500-ზე მეტი კაცი, საერთოდ კი მას სხვადასხვა პროფესიის 32 ათასი მუდმივი მკითხველი ჰყავს. მკითხველს ყოველდღიურად საშუალოდ 5-6 ათასი წიგნი ეძლევა. 1956 წლიდან ბიბლიოთეკა მონაწილეობს საერთაშორისო წიგნის გაცვლაში. მისი პარტნიორია მსოფლიოს 21 ქვეყნის 43 ეროვნული, აკადემიური და სხვა სახის ბიბლიოთეკები. მკითხველთა უკეთ მომსახურების ერთ-ერთი ფორმაა საბიბლიოთეკათშორისო абонემენტი, როცა ამ ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა შეუძლია ქვეყნის ნებისმიერი პუნქტის მკითხველს. ამის პარალელურად ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველსაც მიეწვდება ხელი ყველა რესპუბლიკის ბიბლიოთეკების ფონდების ლიტერატურაზე.

დღეისათვის ბიბლიოთეკა ჭეშმარიტად სამეცნიერო . ცენტრს წარმოადგენს, სადაც ყოველწლიურად გამოდის ასზე მეტი ბროშურა, ბიბლიოგრაფიის თეორიის ბიულეტენები, ქართული წიგნის ისტორია, ბიბლიოგრაფიული ცნობარები და სხვა. სისტემატიურად ეწყობა შეხვედრები მეცნიერებთან, მწერლებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, ასევე იმართება თემატური დისპუტები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები. მარტო წლეულს 35-ზე მეტი ასეთი ღონისძიება გაიმართა და მოეწყო 100-მდე გამოფენა. ყოველწლიურად მკითხველებს ეძლევათ 10 ათასზე მეტი ცნობა თუ ინფორმაცია ცოდნის სხვადასხვა დარგიდან.

„ყველაფერი, რასაც ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ ვაკეთებთ, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ამას წინათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე, — ნაკარნახევია თვით ჩვენი საზოგადოების განვითარების მიმდინარეობით, გადასაწყვეტი პრობლემებისა და ამოცანების გადაუდებლობით". ასეთი პრობლემები და ამოცანები კი საკმაოდ დაუგროვდა რესპუბლიკის უპირველეს ბიბლიოთეკას, და ყველაფერი თუ არა, ბევრი მათგანის მოგვარება ძნიშნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმუშავებს მისი ხუთასკაციანი კოლექტივი, პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია სათავსების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ მას დღესდღეობით სამი საკმაოდ მოზრდილი შენობა უჭირავს, მაინც დიდ სივიწროვეს განიცდის და შეუძლებელია ნორმალური პირობების შექმნა. ეს ეხება როგორც მკითხველთა მომსახურების დონეს, ისე წიგნის ფონდის დაკვას. უადგილობის გამო სამ მილიონამდე წიგნი ბიბლიოთეკის გარეთ — წყნეთში, დიღმის მასივში, ბბოვიანის ქუჩაზე (ეკლესიის შენობაში), ვარკეთილსა და ორხევში — ინახება. თანაც ფონდის ზოგიერთი ნაწილი ისეთ საცავებშია მოთავსებული, სადაც მისი შენახვისათვის ელემენტარული პირობებიც კი არ არის და უამრავი წიგნი საფრთხეშია. სწორედ უადგილობამ აიძულა დაწესებულების ხელმძღვანელობა, რომ ზოგიერთი ფონდი დაეხურა, ვინაიდან ზოგჯერ საცავში ისეთი რაოდენობით გროვდება ლიტერატურა, რომ ფიზიკურად შეუძლებელია იქ შეღწევა და საჭირო წიგნის მოძებნა. ერთი სიტყვით, ფონდების დაქსაქსულობის გამო ზოგჯერ მკითხველი 2-3 დღეს ელოდება მისთვის საჭირო წიგნს, ხოლო ყველა წიგნი ერთ ადგილზე რომ ყოფილიყო, ყოველივე ამას საათი — საათ-ნახევარი თუ დასჭირდებოდა.

ბიბლიოთეკაში არის სანოტო და ხმიერი ლიტერატურის უმდიდრესი საგანძური, მაგრამ ისევ და ისევ საჭირო შენობისა და აპარატურის უქონლობის გამო ისიც დახურულ ფონდშია „დამწყვდეული". იგივე ითქმის უნიკალურ და უძველეს რუკებზე, რომლებიც წლების მანძილზე გაუხსნელი აწყვია. ერთი სიტყვით, საჭიროა ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რის შემდეგაც მოწესრიგდება და თაროებზე განლაგდება წიგნის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც აშკარად გაუმჯობესებს მკითხველთა მომსახურებას.

გათვალისწინა რა ბიბლიოთეკის სადღეისო პრობლემები, წელს 27 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკისთვის ფინანსსა სამინისტროს შენობის გადაცემის შესახებ. ამ ღონისძიების შედეგად ბიბლიოთეკის ფართობი გაიზრდება 5 ათასი კვადრატული მეტრით და 18 ათას კვადრატულ მეტრს მიიღებენ, და მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ბიბლიოთეკაში ახალშემოსული წიგნი ყოველწლიურად იკავებს 200-250 კვადრატულ მეტრ ფართობს. ამიტომ საჭიროა მიმდებარე ტერიტორიები ბიბლიოთეკას გადაეცეს ახალ-ახალი საცავების მშენებლობისათვის, რათა სამოლოოდ მოხდეს დაქსაქსული ფონდის კონცენტრაცია. ბარემ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის უპირველეს ბიბლიოთეკას დღესდღეობით არ გააჩნია შესაფერისი კლუბი, რის გამოც ამა თუ იმ ღონისძიების მოწყობა რომელიმე დარბაზში უხდებათ.

ფინანსთა სამინისტროს შენობის მიღების შემდეგ ბიბლიოთეკას საკმაოდ დიდი პერსპექტივები გადაეშლება, რომელთა ზორცშესხმაში განსაკუთრებული აქტიურობა და შემოქმედებითი მიდგომა უნდა გამოიჩინონ კომუნისტებმა. გაფართოვდება რამდენიმე დარბაზი. პირველ ყოვლისა ეს ეხება ქართველოლოგიის, პერიოდიკისა და სამეცნიერო განყოფილებებს. შეიქმნება სამეცნიერო კაბინეტები. პერიოდიკის განყოფილება ორად გაიყოფა — უახლეს და ძველ პრესას ცალ-ცალკე დარბაზები დაეთმობა. შეიქმნება ერთიანი საკატალოგო, სადაც მკითხველს საშუალება ექნება ადვილად ისარგებლოს როგორც ანბანური, ისე სისტემატური და საგნობრივი კატალოგებით. გაფართოვდება ქართველოლოგიის განყოფილება, სანოტო და მუსიკალური ლიტერატურის სამკითხველო დარბაზი. სამხარეთმცოდნეო თემატიკაზე მომუშავე მკითხველებისათვის გამოიყოფა კაბინეტები ინდივიდუალური მუშაობისათვის, ცალკე სამკითხველო დარბაზი ექნებათ ქართული პერიოდიკით დაინტერესებულ მკითხველებს. პროფესიონალებსა და მუსიკის მოყვარულთ შეეძლებათ ისარგებლონ ფორტეპიანოთი, მათთვის საჭირო ნაწარმოებებს მოუსმინონ მაგნეტოფონისა და ფირსაკრავის საშუალებით. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უკეთ მომსახურებისათვის გაიხსნება ცალკე სამკითხველო დარბაზი. გაიხსნება აგრეთვე ავტორეფერატების, მიმდინარე პერიოდიკის, მიკროფილმებისა და მიკროფიშების სამკითხავი პარატების, კარტოგრაფიული მასალების, სახვითი გრაფიკული გამოცემების, ბეჭდური ნაწარმოებთა ჯგუფური დამუშავების, ხმოვანი ფონდების და სხვა დარგობრივი სამკითხველო დარბაზები.

ბიბლიოთეკაში მიმდინარე მასშტაბური გარდაქმნის პროცესში მუშაობის პირობები გაუუმჯობესდებათ კომპლექსურ განყოფილებებს: საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიის, სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიულს, დაკომპლექტებისა და დამუშავების, ოვითი გამოცემების, ტექნიკური დოკუმენტაციის სპეციალური სახეებისა და ტექნიკური ინფორმაციის, სამეცნიერო-მეთოდიკურ, ბიბლიოთეკათშორისო აბონენტების, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილებებსა და დამხმარე სამსახურებს. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განყოფილებები დაკომპლექტდება უახლესი მანქანა-დანადგარებით, ახლო მომავალში მკითხველთა დაკვეთით დაიწყება ბიბლიოთეკის ფონდიდან პირების გადაღება.

ბიბლიოთეკას შედგენილი აქვს მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიხედვითაც მკვეთრად გაიზრდება. მომთხოვნელობა საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, დაჩქარდება ბიბლიოთეკის ნორმატიულ-მარეგლამენტები ბული დოკუმენტაციის დამუშავება-გადამუშავება და მათი ოპერატიული დახარგვა, კიდევ უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება საბიბლიოთეკო საუწყებათაშორისო საბჭოების მუშაობა, გაიზრდება მათი როლი. ბიბლიოთეკის სტრუქტურის დახვეწის შემდეგ მთლიანად გარდაიქმნება მისი ფონდების დაკომპლექტების პროცესები, ასევე დაჩქარდება მარათების დამუშავება და დროულად ჩართვა კატალოგებში.

ანალიზმა ცხადყო, რომ პარტიის მიერ დაწყებული გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში მეტად გაიზარდა მკითხველთა ინტერესი პარტიულ-პოლიტიკური ლიტერატურის და, კერძოდ, პირველწყაროების მიმართ. ამის პარალელურად ბიბლიოთეკის მუშაობის გარდაქმნის ვრცელი და რთული პროგრამა ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს როგორც მთლიანად კოლექტივს, ისე პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ აქაურმა კომუნისტებმა წამოაყენეს წინადადება: დასვენების დღე, ორშაბათი, გაუქმდეს, რათა ბიბლიოთეკამ მთელი კვირის მანძილზე ყოველდღე იმუშაოს, უკეთ და დროულად მოემსახუროს მოზღვავებულ მკითხველს. აქ მეორე გარემოებაც უნდა აღინიშნოს: გარდაქმნის პროცესმა შრომითი კოლექტივის ბევრ მოწინავე უპარტიო ახალგაზრდაზე მოახდინა სასიკეთო გავლენა და სურვილი გაუჩინა კომუნისტი გამხდარიყო. შარშანდლიდან დღემდე 8 ახალგაზრდა მიიღეს პარტიაში.

მართალია, ბოლო წლებში პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს არ ჩაუდენიათ არავითარი დანაშაული, გადაცდომა, დისციპლინის დარღვევა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ პარტიულ ორგოს ყველაკეთებელი აღარა ჰქონდეს რა. მან დაუღალავად უნდა იბრძოლოს, რათა მთელი შრომითი კოლექტივიც ასეთივე სანიმუშო და დისციპლინირნი იყოს. რაც შეეხება შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინას, აქ პარტიულ ორგანიზაციას, მის კომუნისტებს მოგავალში უფრო მეტი პრინციპულობის გამოვლენა მოუხდებათ.

ამას მოწმობს ერთ-ერთი წლევანდელი პარტიული კრება, სადაც მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი და საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ამოცანები" გააკეთა პარტბიუროს ერთ-ერთმა წევრმა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ერთი ინტერესალთან დაბეჭდილი თხუთმეტგვერდიანი მოხსენების მთელი პირველი რვა (!) გვერდი ზოგად მსჯელობას და პლენუმზე გამოთქმულ დებულებათა გამეორებებს ეჭირა და ბიბლიოთეკის ავ-კარგსა და შრომის დისციპლინაზე კი მხოლოდ ბოლოში და ისიც გაკვრით იყო ნათქვამი. სწორედ ამიტომაც მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნ. ლაიშვილმა თავის სიტყვაში პირუთვნელად აღნიშნა: „ძალიან კარგი მოხსენება გამოვისმინეთ, მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა — დისციპლინის დამრღვევი არ დასახელებულა. ეს კი საქმეს ვერ გამოასწორებს".

ვერ შევდავებით პრინციპულ კომუნისტს და საქმისთვისაც იჯობებდა მომხსენებელს კრიტიკა უფრო კონკრეტული კალაპოტით წარემართა. მით უმეტეს, რომ შარშან სხვადასხვა მიზეზით (საავადმყოფო ფურცელი, უფასო და სხვ.) ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ გაცდენილია 6 487 დღე (ეს არ შედის დეკრეტული შვებულებები და დეკრეტის შემდგომი პერიოდი).

დღეს ბიბლიოთეკის კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა, რათა სიგრძრძნობლად გაუჭობილდეს მკითხველთა მომსახურების კულტურა, წიგნის პროპაგანდის იდეური დონე. ამ საპატიო მოძრაობაში კი პარტიულ ორგანიზაციას ფლაგმანის ადგილი უნდა ეჭიროს, რათა დროულად და მიზანსწრაფულად განხორციელდეს გარდაქმნა საქართველოს უპირველეს ბიბლიოთეკაში.

ჯ. მეხრიშვილი.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის „ჩარხმშენებლის" საწარმოო გაერთიანებაში. შრომითი მეტოქეობის შედეგების შეჯამებისას წინა პლანზეა წამოწეული წარმოების ზრდის, სახელშეკრულებო ვალდებულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მაჩვენებლები. მშრომელები ჩამორჩებიან მთელი რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით და ძალ-ღონეს არ იშურებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მართალია, ჯერჯერობით საუურველ შედეგს მთლიანად ვერ მიაღწიეს, მაგრამ მონდომებამ, საქმისადმი გაძლიერებულმა პასუხისმგებლობამ, მიზნის მიღწევის გზების შეუნელებელმა ძიებამ არ შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს. ჩარხმშენებლებს კარგად ესმით, რომ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში მუშაობისათვის საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებებიც, ძირეულად შეიცვალოს საქმისადმი დამოკიდებულება.

იმ მოწინავე ადამიანთა შორის, რომლებსაც გული შესტკივათ საწარმოს მომავლისათვის, არის № 20 ეესპერიმენტული საამქროს მღარავი სერგი მაისაია. იგი კარგად ართმევს თავს საზოგადოებრივ დავალებას, როგორც საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

სურათზე: სერგი მაისაია.

ა. საბაკოვის ფოტო.

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

ზუსტად ვერავინ გეტყვით, როდის იწყება სოფლად გლეხკაცის სამუშაო დღე.

აი, წუხელ შუალამე მოტანებული იყო, ვიორგი და დინო ლაფაჩებმა მუშაობა რომ დაამთავრეს. სოფამო ჟამს, სწორედ შინ წასვლის წინ, ქუბმა გოჭები დაყარა და, აბა, ფერმას როგორ მიატოვებდნენ! ათასი საქმე გამოუჩნდათ — წყალი გააცხელეს, ახალდამბადებულები დაასუფთავეს, გოჭები ახალ დოლფარში გადაიყვანეს.

იმ ღამით ვიორგი ლაფაჩი ფერმაში დარჩა, დინო შინ წავიდა, რათა თოხი ისეე ამდგარიყო და სკოლაში წასასვლელი ბავშვებისათვის საუზმე მოეშზადებინა.

ჯორის რაიონის ქიწნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობა ეკონომიკურად ღონიერია. აქაური მშრომელები პატიოს მიაგებენ ბელი ღორების სულადობის გეგმები.

ამის მიუხედავად, ამკარად იგრძნობოდა, რომ იაფი ხორცის წარმოების ყველა რეზერვი ამოწურული არ იყო. ფერმაში შვიდი კაცი მუშაობდა და საერთო საქმისადმი განსაკუთრებულ უურადღებასა და ზრუნვას ვერც ერთს ვერ დააბრალებდი.

არ იზრდებოდა საშუალო სადღეღამისო წონამატება, სამაგიეროდ იმატა ღორების გაწყდომამ, საკვების გადახარჯვაც ლამის ნორმად იყო ქცეული, და ყველაფერი ეს იოტისოდენადაც არ მოქმედებდა ფერმაში მომუშავეთა თვიურ შემოსავალზე, ხელფასებსაც გვარიანს იღებდნენ და ზშირად წლის ბოლოს — პრემიებსაც.

და აი, ამ გაზაფხულზე ვიორგი და დინო ლაფაჩებმა განცხადებით მიმართეს მეურნეობის ხელმძღვანელებს, მოსავლელად გადაეცათ მათთვის... მთელი მეღორეობის ფერმა. დიახ, ორკაციანი საოჯახო რგოლი ვალდებულებას კისრულობდა მოეკლო და ეპატრონა მეურნეობის საკმაოდ დიდი მეღორეობის ფერმისათვის, თანაც მიეღწია უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის, ვიდრე ამას ფერმის შვიდკაციანი კოლექტივი აღწევდა.

მეურნეობამ ცოლ-ქმართან შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა და შვიდი კაცის ნაცვლად ფერმაში ორმა ადამიანმა დაიწყო მუშაობა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ქიწნისელების მეღორეობის ფერმა ძველ, არატიპობრივ, ამორტიზებულ შენობაშია . მოთავსებული, სადაც მექანიზაციის დანერგვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ლაფაჩებმა ფერმა შეძლებისდაგვარად გაარემონტეს, შეათვისეს, დაამონტაჟეს წყლის გასაცხელებელი და საოჯახო რგოლზე მიმაგრებული გამწყობი ზეინკლის ტ. ქობლიანიძის დახმარებით მარცვლის საფქვავიც დადგეს.

ოჯახური იჯარა, როგორც ლაფაჩები ამბობენ, მარტოოდენ დიდი ხელფასი როდია, ეს, უპირველესად, საკუთარი ადამიანური ღირსების შეგრძნებაა, რომ საკირო საქმეს აკეთებ, კონკრეტული წვლილი შეგაქვს სასურსათო პროგრამის გადაჭრაში.

„ფერმერები", როგორც ვიორგი და დინო ლაფაჩებს სოფელში შეარქვეს, სულით ხორცამდე ამ დიდ საქმეზე არიან გადაგებულნი, უამისოდ ძნელი იქნებოდა მოკლე დროში ესოდენ თვალსაჩინო ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევაც. საღღეღამისო წონამატება ასაკობრივ ქვეჯგუფებში საშუალოდ 250 გრამის ნაცვლად 265 გრამამდე გაიზარდა. მარტო ივნისში საერთო წონამატებამ 2414 კილოგრამი შეადგინა, დაიზოგა 6419 კილოგრამი საკვები ერთეული. თუ შარშან ექვს თვეში მეღორეობის ფერმაში 81,7 ცენტნერი ხორცი აწარმოვეს, წლეულს ეს მაჩვენებელი 95 ცენტნერამდე გაიზარდა. აი კიდევ ერთი საგულისხმო ციფრი: შარშან ექვს თვეში ფერმაში 90 ფოჯი მიიღეს, წლეულს 160 ფოჯია მიღებული.

მეურნეობამ ოჯახური იჯარის წყალობით ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური დავალება — 10 ტონის ნაცვლად დამზადებულია 11,8 ტონა ხორცი. ლაფაჩები წლის ბოლომდე დამატებით 10 ტონა ხორცის დამზადებას ვარაუდობენ. მათივე ვარაუდით, წლის ბოლოსათვის საგეგმო 200-ის ნაცვლად ფერმაში 355 ღორი ეყოფათ, სადღეღამისო წონამატება 300-ის ნაცვლად 410 გრამს მიაღწევს.

დიდნაყოფიერი შრომის საფასურია ის, რომ მაისში ლაფაჩების ოჯახის ბიუჯეტი ერთბაშად 600 მანეთით გაიზარდა. მეურნეობაში ეს ბევრს გაუკვირდა — ასეთი ხელფასები მეღორეებს წინათ არასოდეს ჰქონიათო. ივნისში კი ლაფაჩებმა კიდევ უფრო მეტი — 1128 მანეთი მიიღეს ხელფასის სახით.

მათ ეს თანხა გადაუხადეს შრომისათვის, რეალური პროდუქციის წარმოებისათვის.

შეაღგოთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვისის პლენუმზე დასმული კითხვის მსგავსად ახლა ჩვენც ვიკითხოთ: განა ამან ქიწნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობას შეურყია საფუძველი? არა! სწორედ ეს არის სოციალიზმი, ცოცხალი, შემოქმედებითი შრომითი სოციალიზმი. ადამიანები თავიანთ კეთილდღეობას პატიოსანი შრომით მოიპოვებენ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

აი, ეს არის შრომითი სოციალიზმი

და აფასებენ მეურნეობის თავკაცს ზიხელ ქობლიანიძეს, გონიერ და გამრჯე მეურნეს, რომელიც ყოველგვარი საქმისადმი არასტანდარტული, ახლებური მიდგომით გამოირჩევა.

თვითონ დროზე სწორედ ქიწნისში ერთ-ერთმა პირველებმა შეძლეს ერთ მეწველ ფურზე 4.000-კილოგრამიანი მოჯნის მიღწევა, ხილის ჰექტარობრივი მოსავლიანობის 175 ცენტნერამდე გაზრდა; მეურნეობაში მომგებიანია მეცხოველეობა, თუმცა წარმოებული ცენტნერი ხორცის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა წლიდან წლამდე გრძელდება, და მეურნეობის მშრომელები ამ საქმეში თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ.

— იაფი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რეზერვები რომ მართლაც აურაცხელია, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა საოჯახო იჯარის დანერგვამ მეღორეობის ფერმაში, — გვითხრა მეურნეობის თავკაცმა ზოოტექნიკოსმა ტარიელ ფელიშვილმა.

მეღორეობის ფერმა არც ადრე იყო ზარალიანი. შარშან, მაგალითად, სგეგმაზე 25 ცენტნერით მეტი, 150 ცენტნერი ღორის ხორცი აწარმოვეს; ასევე გადაჭარბებით შესრულდა ჩასაყენებელ-სანეზვე და გასასუქებით მიმართეს მეურნეობის ხელმძღვანელებს, მოსავლელად გადაეცათ მათთვის... მთელი მეღორეობის ფერმა. დიახ, ორკაციანი საოჯახო რგოლი ვალდებულებას კისრულობდა მოეკლო და ეპატრონა მეურნეობის საკმაოდ დიდი მეღორეობის ფერმისათვის, თანაც მიეღწია უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის, ვიდრე ამას ფერმის შვიდკაციანი კოლექტივი აღწევდა.

მეურნეობამ ცოლ-ქმართან შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა და შვიდი კაცის ნაცვლად ფერმაში ორმა ადამიანმა დაიწყო მუშაობა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ქიწნისელების მეღორეობის ფერმა ძველ, არატიპობრივ, ამორტიზებულ შენობაშია . მოთავსებული, სადაც მექანიზაციის დანერგვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ლაფაჩებმა ფერმა შეძლებისდაგვარად გაარემონტეს, შეათვისეს, დაამონტაჟეს წყლის გასაცხელებელი და საოჯახო რგოლზე მიმაგრებული გამწყობი ზეინკლის ტ. ქობლიანიძის დახმარებით მარცვლის საფქვავიც დადგეს.

ოჯახური იჯარა, როგორც ლაფაჩები ამბობენ, მარტოოდენ დიდი ხელფასი როდია, ეს, უპირველესად, საკუთარი ადამიანური ღირსების შეგრძნებაა, რომ საკირო საქმეს აკეთებ, კონკრეტული წვლილი შეგაქვს სასურსათო პროგრამის გადაჭრაში.

„ფერმერები", როგორც ვიორგი და დინო ლაფაჩებს სოფელში შეარქვეს, სულით ხორცამდე ამ დიდ საქმეზე არიან გადაგებულნი, უამისოდ ძნელი იქნებოდა მოკლე დროში ესოდენ თვალსაჩინო ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევაც. საღღეღამისო წონამატება ასაკობრივ ქვეჯგუფებში საშუალოდ 250 გრამის ნაცვლად 265 გრამამდე გაიზარდა. მარტო ივნისში საერთო წონამატებამ 2414 კილოგრამი შეადგინა, დაიზოგა 6419 კილოგრამი საკვები ერთეული. თუ შარშან ექვს თვეში მეღორეობის ფერმაში 81,7 ცენტნერი ხორცი აწარმოვეს, წლეულს ეს მაჩვენებელი 95 ცენტნერამდე გაიზარდა. აი კიდევ ერთი საგულისხმო ციფრი: შარშან ექვს თვეში ფერმაში 90 ფოჯი მიიღეს, წლეულს 160 ფოჯია მიღებული.

მეურნეობამ ოჯახური იჯარის წყალობით ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური დავალება — 10 ტონის ნაცვლად დამზადებულია 11,8 ტონა ხორცი. ლაფაჩები წლის ბოლომდე დამატებით 10 ტონა ხორცის დამზადებას ვარაუდობენ. მათივე ვარაუდით, წლის ბოლოსათვის საგეგმო 200-ის ნაცვლად ფერმაში 355 ღორი ეყოფათ, სადღეღამისო წონამატება 300-ის ნაცვლად 410 გრამს მიაღწევს.

დიდნაყოფიერი შრომის საფასურია ის, რომ მაისში ლაფაჩების ოჯახის ბიუჯეტი ერთბაშად 600 მანეთით გაიზარდა. მეურნეობაში ეს ბევრს გაუკვირდა — ასეთი ხელფასები მეღორეებს წინათ არასოდეს ჰქონიათო. ივნისში კი ლაფაჩებმა კიდევ უფრო მეტი — 1128 მანეთი მიიღეს ხელფასის სახით.

მათ ეს თანხა გადაუხადეს შრომისათვის, რეალური პროდუქციის წარმოებისათვის.

შეაღგოთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვისის პლენუმზე დასმული კითხვის მსგავსად ახლა ჩვენც ვიკითხოთ: განა ამან ქიწნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობას შეურყია საფუძველი? არა! სწორედ ეს არის სოციალიზმი, ცოცხალი, შემოქმედებითი შრომითი სოციალიზმი. ადამიანები თავიანთ კეთილდღეობას პატიოსანი შრომით მოიპოვებენ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სპეციალისტი გვირჩევს

რაფსი უხვი ზეთი და საკვებია

ზეთოვანი კულტურის რაფსის სათეს ფართობს მეთორმეტე ხუთწლედში ათასობით ჰექტარი შეემატება. ეს მრავალმხრივ სასარგებლო კულტურა რესპუბლიკის საკვებმარაგობის დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციის პროგრამის შესაბამისად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მეცხოველეობის განვითარებაში.

საქართველოში რაფსი ამ ორი ათეული წლის წინათ გავრცელდა, როცა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჯამეთის შემინდვრობის საცდელ სადგურში დამუშავდა მისი თესვა-მოყვანის ძირითადი აგროტექნიკა.

ამ მცენარის მწვანე მასა მდიდარია ცხოველებისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებით. იგი ცილების შემცველობით თიმქმის უახლოვდება მრავალწლოვან და ერთწლოვან პარკოსან ბალახებს — იონჯას, სამყურას, ბარდას, ცერცველას და სხვა. ერთი კილოგრამი რაფსის მწვანე მასა შეიცავს 0,15 საკვებ ერთეულს, ხოლო მარცვალი (თესლი) — — 45 პროცენტამდე ცხიმს, ზეთი გამოიყენება როგორც ტექნიკური მიზნებისათვის, ასევე სასურსათოდ.

რაფსი იმით არის საყურადღებო, რომ იგი, როგორც სიგრილის მოყვარული, ზამთარგამძლე მცენარე, ჩვენი რესპუბლიკის დაბლობი ზონის ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ და სარწყავ პირობებში ცალკე მინდორს არ საჭიროებს და შეიძლება მოვიყვანოთ შუალედური კულტურის სახით იმ პერიოდში, როცა ფართობი განთავისუფლებულია წინამორბედისგან. რაც მთავარია, მწვანე მასას გვაძლევს გვიან შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე, როცა მინდორში სხვა სახის საკვები არ მოიპოვება; ითიბება ოქტომბერ, ნოემბერ-დეკემბერში და მარტის ბოლოს — აპრილში; რაფსი ძირითად კულტურასთან ერთად ჩვეულებრივი აგროტექნიკის პირობებში დამატებით უხვი მწვანე მასის მოსავალს იძლევა, ზშირად 350-400 ცენტნერს.

საგულისხმოა აგრეთვე რაფსის დადებითი გავლენა პირუტყვის პროდუქტიულობის მატებაზე. ულუფაში მწვანე მასის შეტანა ზამთარში ხელს უწყობს წველადობის ზრდას, უხვში საკვების შეთვისებას.

რაფსის თესვა-მოყვანის აგროტექნიკიდან ყველაზე მთავარია ნიადაგისა და წინამორბედი კულტურების შერჩევა, შუალედური თესვის დროს კი ვადის დაცვა და სხვ. უკეთესია შეირჩეს წყალგამტარი, მსაზრდოებელი ნივთიერებებით მდიდარი, შედარებით მსუბუქი შემადგენლობის, ღრმა ნიადაგები. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ეწერ ნიადაგებზე რაფსის თესვა შეიძლება ნიადაგის ქიმიური თვისებების გაუმჯობესების, მოკირიანების, ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენების შემდეგ. ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ბიცობ ნიადაგებზეც რაფსის მოსაყვანად საჭიროა ამ სავარგულის გაუმჯობესება. ნიადაგი უნდა მოიხნას თესვამდე 15-20 დღით ადრე, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა რაფსი ითესება ძირითად კულტურად (მაღალმთიან რაიონებში — ახალქალაქი, ბოგდანოვკა, დუშეთი, დმანისი, წალკა, თიანეთი, ლენინგორი და სხვ.), უნდა დაითესოს მზრალად მოხნულ ფართობებზე; თესვის წინ ხნულის ზედაპირი ზეგმიწევნით უნდა მოსწორდეს, და შევიტანოთ რაფსის თესვისწინა ხნულის დამუშავების დროს — ამონიუმის გვარჯილა 2-2,5, ან სულფატამონიუმი 3-3,5 ცენტნერი ჰექტარზე. კარგ ეფექტს იძლევა მინერალურ სასუქებთან ერთად 20-40 ტონა ნაკელის ან ტორფის გამოყენება.

რაფსის წინამორბედად უმჯობესია გამოვიყენოთ ის კულტურები, რომლებიც ფართობს აგვისტოს პირველ დეკადაში ათავისუფლებენ. როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის პირობებში ყველაზ

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

გარდაბნის რაიონი ორმხრივ არის საინტერესო — მეცხოველეობითა და მებოსტნეობით, მესამე და მთავარი მშრომელი ადამიანების თავდადება და მეცნიერული სიახლეების თანამიმდევრულად ძიება, გამოყენებაა. საქმეში ჩაუხედავ კაცს შორიდან, ერთი შეხედვით, გარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობა შეიძლება იოლი სამართავი მოეჩვენოს, რადგან ამ ბოლო წლებში გეგმები და ვალდებულებანი გადამეტებით სრულდება. შესრულებით კი სრულდება, მაგრამ რა ფიზიკური თუ გონებრივი შრომის ფასად ხდება ეს, ბევრმა შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოს.

— აქაური მიწა იოლად არაფერს იძლევა, — ამბობს აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ცეზარ მოსიძე, — ზოგან ნიადაგის შედგენილობა ისეთია, ორგანული და მინერალური სასუქებიც ვერ შველის, ზოგან ჭარბტენიანია, ზოგან კი რეგულარული რწყვა სჭირდება. თავის დროზე დაითესა საშემოდგომო თავთავიანები თუ ბალახი, ბოსტნეული ავთვალს არ ენახვებოდა, ისე კარგად აღმოცენდა, ჩითილმა იხარა, მაგრამ დადგა თუ არა ივლისი, შუა ზაფხულის პაპანაქება სიცხემ ეს მოგლილი, ნაპატრონები ბოსტნები, სიმინდის ნათესები ეს ბაღ-ვენახები ისეთ დღეში ჩააგდო, ლამის ხელი დაგვაბანინოს მოსავალზე, მაგრამ მანქანურმა შრომამ გვიშველა.—მანქანა მანქანაა, ავტომატიზაციაც დაემატა, რობოტებიც, მაგრამ უადამიანოდ მაინც არაფერი გამოვა, რადგან ყოველგვარ მანქანას ადამიანი მართავს — ვეუბნები ცეზარს.

— მეც მანდა ვარ სწორედ, — ამბობს ცეზარი — ადამიანი, გინდ მეცნიერი, გინდ მუშა შემოქმედი უნდა იყოს. გარდა ამისა საქმის ერთგული კაცი სულადობის დავალება ყოველთვის სრულდება, — სიამაყით ამბობს დირექტორი, — ყველგან ისეა დაყენებული საქმე, რომ სამუშაოები მანქანებით სრულდებოდეს. ჩვენთან 90 პროცენტია კომპლექსური მექანიზაციის დონე. ეს ფრიგო არ არის, მაგრამ გვინდა, რომ გარდაქმნის ამ ცხარე დღეებში საქმე ისე წარვმართოთ, რომ სოფლის მშრომელს ყველგან გავუიოლოთ შრომა. ეს კი იმის გარანტიას მოგვცეს, რომ კაცს სოფელი არ მოჰბეზრდეს, ხალისით იმუშავებს ფერმაში თუ მინდვრად. ერთი ეს არის, მეცხვარეობაში ხელის შრომას ჯერჯერობით ვერაფერი მოვუხერხეთ.

ოფიციალური ცნობა: მეურნეობა წლეულს მთლიანად სამეურნეო ანგარიშზეა გადახული. შარშან კი სამეურნეო ანგარიში მარტო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კომპლექსში იყო დანერგილი. მუშაობის ამ მეთოდმა კარგი ნაყოფი გამოიღო. ჯერ ერთი, მეცხოველეთა ხელფასმა მკვეთრად იმატა, ოთხიათასიანთა კლუბის წევრები თვეში 400-500 მანეთს იღებენ. ამან რძის ხარისხის გაუმჯობესება და ამის საფუძველზე შემოსავლის მატება გამოიწვია. მეურნეობას ცენტნერი რძე 88 მანეთი და 55 კაპიკი უჯდება, სახელმწიფო კი დანამატიანად ცენტნერში 47 მანეთს იძლევა, ცხადია, მოგება თვალში საცემია — შარშან მარტო რძის რეალიზაციით 400 ათასი მანეთის მოგება ნახა მეურნეობამ. თუ სანერგო ხედიდენე შედგება საქმე, არც აქ არის სათაკილო ციფრები: შარშან მეურნეობამ 8 მილიონ 59.000 მანეთის ხოფლის მეურნეობის პროდუქცია აწარმოვა; შრომის ნაყოფიერება 12,4 პროცენტით გაიზარდა, ხაშუალო ხელფასი აქ 210 მანეთია. ერთი მუშა წელიწადში ქმნის 5.600 მანეთის პროდუქციას და შრომის საზღაურად საშუალოდ თითო ძროხაზე ვალდებულებით 3.500 კილოგრამი რძე უნდა მიიღონ. ექვს თვეში თითოეულზე მიღებულია 1.612 კილოგრამი რძე. სახელმწიფოს მიეყიდა 1.164 ტონა. კილოგრამი რძის თვითღირებულება წელს 8 კაპიკით შემცირდა და 89 კაპიკია. სახელმწიფო 40 კაპიკს უხდის, ფასდანამატიანად — 60 კაპიკს, ასე რომ, კილოგრამი რძიდან 27 კაპიკს იგებენ.

— ეს სტატისტიკური მონაცემები, — თქვა თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორმა ბიძინა მოისწრაფიშვილმა, — სრულყოფილი არ იქნება, თუ არ ვიტყვით იმას, რაც მთავარია: ამ წარმატებათა მოპოვებაში გადამწყვეტი როლი კომპლექსის მშრომელებმა შეიტანეს. მართალია, აქ მექანიზაციის დონე 90 პროცენტია, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია. მათი უნარისა და შრომის შედეგია ის, რომ მანქანებს ნაყოფიერად ვიყენებთ, ამიტომაც უკუგება თვალსაჩინოა.

მწველავ-ოპერატორს (მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში თელეთში გაჩნდა ასეთი პროფესია) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ირინე გოგებაშვილს დიდი ჯაფა როდი ადგას იმის გამო, რომ რამდენიმე ათეულ ძროხას პატრონობს და წველის. შარშან თითოეულ ძროხაზე 3.500 კილოგრამი რძე მიიღო. წელს ექვს თვეში 2.300 კილოგრამი აქვს მოწველილი.

— ყველგან სიახლეებია, გარდაქმნისთვის ზრუნვა საყოველთაოა. თქვენთან რა ხდება ამ მხრივ? — ვეკითხებით დირექტორს.

— გარდაქმნა, ახლებურად მუშაობა ჩვენთან გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან სტუმრად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, — ამბობს დირექტორი, — იგი კარგა ხანს იყო კომპლექსში, გულდასმით დაათვალიერა ყოველივე, ესაუბრა მეცხოველეებს, გამოჰკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და დასვენების პირობები, ანაზღაურება. მან მეტად სასარგებლო რჩევა მოგვცა. ყოველივე დაწვრილებით ჩავინიშნეთ და მისი წასვლის შემდეგ გულდასმით გავაანალიზეთ პარტბიუროს და დირექციამ, რაკომის დახმარებით შევამუშავეთ გეგმა ლიგაჩოვის მითითებათა შესასრულებლად. უკვე დავიწყეთ ამ გეგმის ხორცშესხმა. კომპლექსში დიდძალი თბილი წყალია საჭირო. მისი გათბობა ერთობ ძვირი გვიჯდებოდა. ახლა ჩვენთან მოქმედებს ჰელიოსისტემა, რომლითაც მზიან თვეებში (ჩვენთან კი ასეთი თვეები წელიწადში ერთობ ბევრია) წყალი თითქმის უფასოდ თბება. წელიწადში 140.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომიას გავწევთ. ეს დიდ შეღავათს მოგვცემს, ათასობით მანეთს დაგვიზოგავს.

გარდა ამისა, კომპლექსში დამონტაჟდა სამამულო წარმოების ახალი საწველი აგრეგატები „უდა 8“. ამ აგრეგატებმა ერთობ შეამცირა ხელის შრომა. აგრეგატით წველის გარდა მეცხოველეები სხვა ოპერაციებსაც ასრულებენ.

• • •

— **ორი** მეურნეობა-კომპლექსის მაგალითით ცხადდისა, რომ შედეგები სასარგებლოა. ადამიანები სოფლად მანქანებით დიდ შრომის ნაყოფიერებას აღწევენ. საერთოდ როგორია თქვენი აზრი მექანიზაციაზე, როგორც პარტიის რაიკომის პირველ მდივნისა და მექანიზაციის დარგში მეცნიერებათა კანდიდატის? — ვეკითხებით პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივანს ოთარ ბოკერიას.

— საქართველოში გარდაბნის რაიონი ერთ-ერთ პირველთაგანია, სადაც მეცნიერების მიღწევებს თანამიმდევრული დანერგვის შედეგად მექანიზაციის დონე 90 პროცენტს აჭარბებს. მარტოდ ერთ-ერთ ადგილზე ეს ფრიგო ადამიანების ჯანმრთელობა ეთმობა ინსულტებლად. ეს ასეთი ფაქტია. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს ეზარებოდა. ეზარებოდა ინერციის ძალა. ეზარებოდა ინერციის ძალა. ეზარებოდა ინერციის ძალ

ყველაფერი საუკეთესო-ბავშვებს

სკოლამდელი დაწესებულებებით უმრუნველყოფის მიხედვით საქართველო შესამჩნევად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს და მხოლოდ მეცხრე ადგილი უკავია.

— რა არის ამის მიზეზი? — ჰკითხა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ლამარა გაგუას საინფორმის კორესპონდენტმა თ. ჩხიკვაძემ.

— სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება, თუმცა ეს ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ ბევრ რაიონს აკლია სკოლამდელი დაწესებულებანი. საქართველოს 1005 სოფელში არ არის საბავშვო ბაგა-ბაღი. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, მარნეულის, ორჯონიკიძისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ბაგა-ბაღები ბავშვთა მხოლოდ 15 პროცენტს ემსახურება, გარდა ამისა, 815 ობიექტი ამჟამად მოუხერხებელ შენობაშია მოთავსებული, სადაც ხშირად არ არის ელემენტარული პირობები აღმზრდელობითი მუშაობისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის.

— არის კი რესპუბლიკაში პოტენციალი ამ ვითარების გამოსასწორებლად?

— დიახ. იგი სხვადასხვა სამინისტროში, უწყებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და სამრეწველო საწარმოში უნდა ვეძებოთ. თუ ჩამოთვლილი ორგანიზაციები იკისრებენ თავიანთი თანამშრომლებისათვის საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობას, ამით ერთბაშად გადაწყდება სახელმწიფო მნიშვნელობის ორი ამოცანა: ბავშვებიც კარგ პირობებში აღიზრდებიან და მათი დედებიც აქტიურად ჩაებმებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რესპუბლიკის განათლების სამინისტრო კი ვალდებულია სხვა უწყებებთან ერთად ხელი შეუწყოს სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოებისა და სრულყოფის კომპლექსური პროგრამის შემუშავებას.

— რა შეიძლება ითქვას ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის ხარისხზე?

— ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმის, რომ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები ლამაზ და კომფორტულ შენობებს გვთავაზობდნენ. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ასეთი საბავშვო ბაგა-ბაღები ცოტაა. მიზეზები? ხან თავის დროზე არასწორად იყო შერჩეული ნაკვეთი და ვერ მოხერხდა ბაღის გაშენება, ხან ვერ მიხვდნენ ხეები დაერგოთ შენობის აგებისთანავე და ახლა საბავშვო ბაღი ტრიალ ადგილასაა წამოჭიმული. სოფლებში კი საბავშვო ბაგა-ბაღები იშვიათადაა შერწყმული ტყის მასივებთან, არადა მათი მიკროკლიმატი ხომ ბავშვების ჯანმრთელობას გააკეთებდა, ხოლო პეიზაჟის სილამაზე მათ ესთეტიკურ გრძნობებს განუვითარებდა.

რაც მთავარია, ყველა საბავშვო ბაგა-ბაღი რაღაც დეფექტთან შენდება. ჩვენს პრეტენზიებზე მშენებლები ათობით მიზეზს ასახელებენ, რომელთა გამო იძულებული ვართ უხარისხოდ ვაშენოთო. ამიტომ, ხშირად ობიექტის საექსპლოატაციოდ ჩაბარებისთანავე იძულებული ვართ გავარემოსტოთ ისინი საკუთარი ძალებით.

— არის თუ არა სირთულეები სკოლამდელი დაწესებულებების კვების ორგანიზაციაში?

— ძალზე გვქონდება სპეციალიზებული ტრანსპორტი, განსაკუთრებით სოფლად, არსებული მანქანები აღჭურვილი არ არის საცივებელი ძარით და ფუნქციური ტევადობებით. ზოგიერთი პროდუქტი სისტემატურად არ არის ხილ-ბოსტნეულისა და პროდუქტების ბაზებში. ამავე დროს რამდენია ასეთი პროდუქტი ბაღებში და მინდვრებში? კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რომ დართონ ნება სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმის ანგარიშში მისცენ იგი სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკებს, ჩვენს აღსაზრდელებს თავიანთ ულუფაში ექნებოდათ ახალთახალი ხილი და ბოსტნეული. რაც შეეხება რძეს, რძის პროდუქტებს, პურფუნთუშეულსა და საკონდიტრო ნაწარმს, ფვენებს, კომფიტიურებს და ჯემებს, საჭიროა რომ საბავშვო ბაგა-ბაღები მათ ინდივიდუალური შეფუთვით, და რაღა თქმა უნდა, მაღალი ხარისხისა უნდა იღებდნენ. მაგრამ ჯერჯერობით კი, მაგალითად, რძის ცხიმიანობა არ აღემატება 2,5 პროცენტს ბავშვებისათვის გათვალისწინებული 3 პროცენტის ნაცვლად.

ამჟამად განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის სამინისტროები და ცეკავშირი ამუშავებენ ბავშვთა კვების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა ერთობლივ გეგმას. მისი შესრულებისადმი მუდმივი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის შეიქმნა საკოორდინაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტები.

წონა ახალი სასწავლო წელია. ვიმედოვნებთ, რომ ჯერეს წამოჭრილი საკითხები პრაქტიკულ გამოსმაურებას ჰპოვებენ.

ბოლო სტარტები

მაშ ასე, დამთავრდა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობანი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ზაფხულის ამ თაკარა დღეებში მიმდინარეობდა.

8 და 9 აგვისტოს ბოლო შეხვედრები ჰქონდათ კალათბურთელებს, ჩოგბურთელებს, წყალმხტომელებს, თავისუფალი ჭიდაობის წარმომადგენლებს, მოფარიკაველებს, მსროლელებს, ნიჩბოსნებს, ბადმინტონისტებსა და ძიუდოისტებს.

გაგვახარეს ჭაბუკმა კალათბურთელებმა: საქართველოს ნაკრებმა ფინალური შეხვედრა მოუგო რუსეთის ფედერაციის ნაკრებს ანგარიშით 82:63 და, ცხადია, პირველ ადგილს დაეუფლა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ უკრაინელი კალათბურთელები.

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა (82 ქულა). პროფკავშირთა I ნაკრები კი უძლიერესი იყო — 92 ქულა. პიოად ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენელმა კახა ჯაბიძემ (80 კგ-მდე წონა) ოქროს მედალი დაისაკუთრა, გივი სისაურმა (45 კგ) და გიორგი პატაშურმა (74 კგ) — ვერცხლისა, ზაზა ზაზიროვმა (48 კგ), კახაბერ ლევიძემ (56 კგ) და მინდია ბაჯელიძემ (87 კგ-ს ზევით) — ბრინჯაოსი.

ქართველმა ძიუდოისტებმა გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს. ჩვენი ნაკრების წევრთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს მ. თურმანიძემ (68 კგ.), ვ. ავალიანმა (83 კგ) და დ. ხახალეიშვილმა (83 კგ-ს ზევით).

მოხმალაგეთა ასპარეზობაში საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეშვიდე ადგილზე გამოვიდა, სამაგიეროდ იმპოდვეს ჩვენმა წყალმხტომელებმა, რომელთაც გუნდურ ჩათვლაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. თბილისელი ჩოგბურთელი თამარ ბერიძე მესამე ადგილს დაეუფლა, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ნაკრები მეექვსე ადგილზე გამოვიდა. მსროლელთა შეჯიბრებაზე დარეჯან დუბბაძემ პნევმატური პისტოლეტით სროლაში 380 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალი მიიღო. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მსროლელთა ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. ბადმინტონისტთა ტურნირში თავი ისახელა თინა მარგველაშვილმა. იგი ერთეულთა თანრიგში ვერცხლის მედალს დაეუფლა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ბადმინტონისტებმა მესამე ადგილი დაიკავეს. აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ოთხმოსამყლიანი ნავით (მესაჭით) პირველ ადგილზე გამოვიდნენ, ორმოსამყლიანით — მესამეზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობანი მართლაც საუცხოოდ იყო ორგანიზებული, რის თაობაზეც არა ერთხელ გამოთქვეს თავიანთი კმაყოფილება ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოსულმა მონაწილეებმა, მწვრთნელებმა, მსაჯებმა, ჟურნალისტებმა და სტუმრებმა.

ჭადრაკის დაფებთან

გაიმართა მოჭადრაკე ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრებათა მორიგი ტურის შეხვედრები.

იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში მეექვსე ტურის პარტიები საბჭოთა მოჭადრაკეებმა ასე დაამთავრეს: ელენესტი-სეირავანი (აშშ) — 0,5:0,5, ეინგორნი-მაილსი (ინგლისი) — 0,5:0,5 პოლუგაევსკი-ეორჩნოი (შვეიცარია) — 0:1. მეშვიდე ტურში მათი შედეგები ასეთია: ელენესტი-ბარლოვი (იუგოსლავია) — 1:0, პოლუგაევსკი-სეირავანი — 1:0, ეინგორნი-გრიუნფელდი (ისრაელი) — 0,5-0,5; მერვეში — ბარლოვი-პოლუგაევსკი — 1:0, ინკოვი (ბულგარეთი)-ელენესტი — 0:1, ეინგორნი-ხულაკი (იუგოსლავია) — 1:0.

უნგრეთის ქალაქ სირაკში მიმდინარე შეჯიბრების მეთხუთმეტე ტურში ჰიარტარსონ (ისლანდია) — სალოვისა და ნან (ინგლისი) — ბელიავსკის პარტიები ყაიმით დასრულდა, მეთექვსმეტე ტურში კი სალოვმა დაამარცხა ესპანელი დე ლა ვილია, ბელიავსკიმ — ველიმიროვიჩი (იუგოსლავია). ბოლო, მეჩვიდმეტე ტურის წინ ჰიარტარსონს 12 ქულა ჰქონდა, სალოვს და ნანს — 11,5-11,5, პორტიშს (უნგრეთი) — 11, ბელიავსკის — 10,5 ქულა.

სადარის ეს ქუჩა...

ვარაქეთილი-3 საცხოვრებელი მასივის ახალშენებლობათა ლაბირინთი ახალმა ტრასამ გადაკვეთა. იგი ორ კილომეტრზე გადაიჭიმა ჯავახეთის ქუჩიდან და ერთმანეთს დაუკავშირა დასახლების პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მიკრორაიონები.

აქ უკვე დადისხალხი, ავტომობილები. უკვე ათვისებული თითქმის ორი მილიონი მანეთის მიუხედავად, თბილისის საქალაქო აღმასკომის საგზაო მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მუშაკებს წინ კიდევ ბევრი სამუშაო ელით. მომავალ ხუთწლედში დაგეგმილია მაგისტრალის თბილისის ზღვამდე მიყვანა.

ჯერჯერობით კი არის მეორე უბნის რეალური 1300-მეტრიანი გზა. პირველი უბანი კი, რომლის სიგრძე დაახლოებით 700 მეტრია, მშენებლებმა 1986 წელს ჩაბარეს. მაშინ, სხვათა შორის, მეორე და მესამე მიკრორაიონებს შორის გაიყვანეს კიდევ ერთი გზა — სუხიშვილის ქუჩა, რომელმაც შეაერთა ჯავახეთისა და გახოკიძის ქუჩები.

დღეს მძიმე თვითსაცლელებს მასივის განაპირა უბნებში მიაქვთ ღორღი. მშენებლები, აქ კი დაახლოებით ორმოცი კაცი მუშაობს, აგებენ ასფალტ-ბეტონის საფარის ქვედა ფენას. აქ ჯერჯერობით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. მაგრამ გამცელები გამოდმებით კითხულობენ: როდის გაიხსნება მთლიანად გზა? უბნის უფროსი ზაალ ჯობაძე, რომელიც მბოლავ ასფალტთან ნიჩაბს დაყრდნობია, დაბეჯითებით გვპირდება: „ახალი წლისათვის — აუცილებლად“.

საამქროდან — ტყეში

ცხელ საამქროებში შრომითი დღის შემდეგ ყველასათვის სასიამოვნოა კორპის ხის კორომში დასვენება. ამიერიდან ამ მარშრუტით ყოველდღე დადიან ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მუშები. მათთვის ქალაქის გარეუბანში გაიხსნა 120-ადგილიანი ცხრასართულიანი პროფილაქტორიუმი. სტუმრების განკარგულებაშია ერთ და ორადგილიანი კეთილმოწყობილი ოთახები, სასადილო, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.

ჯანმრთელობის ახალ ცენტრში შეიძლება არა მარტო დასვენება უქმე დღეებში, არამედ შეებულების გატარებაც, თანაც საგზურის ღირებულების 80 პროცენტს პროფკავშირი იხდის. სხვათა შორის, პროფილაქტორიუმის ადგილების ნაწილი ქუთაისის სხვა საწარმოებსაც გადაეცა. აქ ახლა ჩამოდიან სავტომობილო, ელექტრომექანიკური და ლითოფოსნის ქარხნების, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ბაბბის საქსოვი გაერთიანების მუშები. (საკინფორმი).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი

და ტელეფონები

ჯ80096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, საფოსტოსი — 99-66,10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მუშაკებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-68.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; ახალციხე—2-03-15; ზუგდიდი — 2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-86; თელავი — 3-12-09; წითელწყაროო — 23-66; ტაიბული — 25-82; სამტრედია — 45-32.

შრომითი ზაფხული—87

ახალგაზრდების ძალებით

შრომითი ზაფხულის ორგანიზებულად და შინაარსიანად გატარებისათვის პარტიის ზესტაფონის რაიონულ კომიტეტსა და კომკავშირის რაიკომში თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი. შეიქმნა შრომითი სემესტრის რაიონული შტაბი, შეირჩა და დამტკიცდა შრომითი რაზმების და ბანაკების მეთაურები. პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ისმენს ინფორმაციას შრომითი ზაფხულის მიმდინარეობის შესახებ.

რაიონში მუშაობს უფროსკლასელთა შრომისა და დასვენების ბანაკები, ასევე სტუდენტთა არასამშენებლო რაზმები, სადაც გაერთიანებულია ოთხი ათასამდე ახალგაზრდა. ისინი 25 ათასი მანეთის სამუშაოებს შეასრულებენ.

ზესტაფონის მეხუთე, სადგურ სვირის და ამიერკავკასიის რკინიგზის № 7 საშუალო სკოლების შრომითი რაზმების მებრძოლებმა თავიანთი სკოლების ეზო-გარემოს გალამაზებასა და შენობის შეკეთებაზე იმუშავეს, ძირულის, ბოსლევის, ილმისა და პირველი სვირის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მებაღეობამეებს შეაშველეს ხელი.

კარგად იმუშა ეს მოსწავლეთა შრომითმა რაზმებმა მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაზე. მათ შეაგროვეს 117 ტონა მწვანე მასა. ტრადიციულად არგვეთის მევენახეობის და სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობებმა უმასპინძლეს ქუთაისის ოცდამეექვსე და მეექვსე საშუალო სკოლების შრომისა და დასვენების ბანაკებს. აქ მოსწავლეებმა შეასრულეს ვაზის რიგთამორისების დამუშავებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

ნაყოფიერად მუშაობენ სტუდენტური სამშენებლო რაზმები. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მეურნეობაში ტექნიკუმის 200-კაციანი რაზმი საქმიანობს, შორაპნის ციხე-ქალაქი რესტავრაციაზე — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25-კაციანი რაზმი როდინაულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მშენებლობაზე შრომობს.

შრომითის რაზმებში განსაკუთრებულ ყურადღებას უმობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზებას, საკავშირო აღკ XX ყრილობისა და საქართველოს აღკ XXXIII ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხებს.

ბ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მარიკა ძაგნიძის ოქროს მედლები

დღეს კარგ გუნებაზეა მაიაკოვსკის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის „ბაღდადის“ სოლისტი მარიკა ძაგნიძე: მან ზედიზედ მერვედ მოიპოვა ხალხური ცეკვების რესპუბლიკური კონკურსის ოქროს მედალი.

მარიკა და ნინი მეგობრები ანსამბლ „ბაღდადიდან“ ხშირად მართავენ კონცერტებს თანამემამულეებისა და დასავლეთ საქართველოს კურორტების დამსვენებელთა წინაშე. ახლა ისინი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალ პროგრამას ამზადებენ.

სურათზე: მარიკა ძაგნიძე.

ბ. სოკოლოვის ფოტო
(საინფორმის ფოტოქრონიკა).

აღამიანი, გზა, ტრანსპორტი

გავუფრთხილდეთ საკუთარ და სხვის სიცოცხლეს

ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხშირად მიხდება საუბარი საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის თემაზე საზოგადოების სხვადასხვა რანგისა და პროფესიის წარმომადგენლებთან. ერთ-ერთ თანამესაუბრეს, საკმაოდ ღვაწლმოსილ მძღოლს, რომელიც ზოგიერთი ავტოინსპექტორის გადამეტებულ სიმკაცრეს უჩიოდა, შევეკითხე, დარწმუნებულია თუ არა, რომ შუქნიშნის მწვანე სიგნალის დროს, „გზაჯვარედინზე ვგალისობ, ამ მოძრაობაში ყარძალული მხრიდან ავტომანქანა არ დაეჯახება. ერთხანს ჩაფიქრდა და მიპასუხა რომ ამის სრული გარანტია არასოდეს უგრძვნია..

შუქნიშანზე წითელი შუქი ანთია — მოძრაობა აკრძალულია. საგზაო მოძრაობაში არ მეგულება ამაზე მარტივი, თვალსაჩინოდ და მკაფიოდ გამოხატული, იოლად შესასრულებელი წესი. მაგრამ ყველა ასრულებს კი მოძრაობის წესების ამ და საერთოდ სხვა მოთხოვნებს? რა თქმა უნდა, არა და არც რაიმე დადებითი ძვრები შეიმჩნევა ამ მხრივ.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ცალ-ცალკე, მოძრაობის თითოეულ მონაწილეს მიაჩნია, რომ მოძრაობის დისციპლინა არ გვივარგა და რომ ამ მხრივ რადიკალური გარდაქმნაა საჭირო. ყველა მათგანი განაწყენებულია მოძრაობის სხვა მონაწილეებზე დარღვევების გამო და აღშფოთებით კითხულობს, ასე როდემდე გაგრძელდებაო?.

ამავე დროს, არც ერთ მათგანს არ სურს საკუთარი თავით და ახლობლებით დაიწყოს ეს გარდაქმნა საგზაო მოძრაობაში. ესე იგი, რა გამოდის? წესრიგი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ეე და ჩემიანებს არ შეგვეხოსო!

ავიღოთ თუნდაც ის საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ახალგაზრდობასა და ავტომანქანების ურთიერთობას ეხება.

ავტომანქანის მართვისას არაეითარი ანაკობრივი ბარიერების შექმნის მომხრე არა ვართ, ახალგაზრდას შეიძლება მინდობილებით გადასცეს მშობელმა ავტომანქანა, თუ იგი ჩამოყალიბებული და მოძრაობის დღევანდელი პირობებისათვის მომზადებულია, და, რა თქმა უნდა, მართვის მოწმობა აქვს. ის კი არ მომწონს, როცა მოხუცი, ღვაწლმოსილი პროფესორი ტროლეიბუსით მიდის ინსტიტუტში, ხოლო შეღრებული ყმაწვილი დარდიმანდულად მისრბოლებს ლექციებზე ლიმუზინით. არ მომწონს ეს როგორც მოქალაქეს და მიმაჩნია, რომ ამით ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ არაფერი შეუქმნია, ფასეულობათა აღქმის უნარს ვუჩლუნგებთ, ვაყოყოჩებთ, ვთიშავთ კოლექტივიდან.

მართოს ახალგაზრდამ ავტომანქანა მშობლებთან ერთად ოჯახური გასეირნებისა თუ სხვა საოჯახო საქმეების მოგვარებისათვის, მართოს უფროსის ზედამხედველობით, უფროსისა, რომელიც დაეხმარება მას რთულ სატრანსპორტო სიტუაციებში მოხვედრისას.

პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება. უმეტეს შემთხვევაში მშობელი, მართვის ელემენტებს შეასწავლის თუ არა, ავტომანქანას შვილს გადაულოცავს და სიხარულით გული საგულეში აღარ ეტევა, პირიშო რომ მოესწრო. იმაზე კი, მძღოლმა ავტომანქანის მარტო წაყვანა კი არა, მოძრაობის წესებიც რომ უნდა იცოდეს და, რაც მთავარია, იცავდეს მათ, პატივს სცემდეს მოძრაობის წესებს და მოსალოდნელი მძიმე შედეგის შიში ჰქონდეს, ერთი წამითაც არ დაფიქრდება. მხოლოდ მერწმუნეთ, ეს სტრიქონები რვეთვის მეტად ძნელი დასაწერი იყო. როგორც ადამიანისათვის, უეჭველად, სავსებით გასაგებია ჭირისუფალთა უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ მწარე სინამდვილე დუმილის უფლებას ნამდვილად არ მაძლევს. ეგებ შემქმნელმა ვითარებამ სამომავლოდ სხვა უფროო ღრმად ჩაადფიროს, ოდითგანვე აკვნების სიმცირეს რომ მიეტირინთ, უფრო სათუთად და პრაქტიკული განსჯით გაეფფრთხილდეთ თითოეულ სიცოცხლეს. სადღეისოდ შექმნილი ვითარება კი, სამწუხაროდ, სულ სხვა სურათს გვიჩვენებს. აბა, ვინ შეიძლება რაიმე შეგნებულ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ვესაუბროთ მძღოლს, რომელიც ავტომანქანას მინდობილობის გარეშე სამართავად გადასცემს ხოლმე სხვა პირს — მეგობარს, ამხანაგს, თუ სხვა ვინმეს და ამით თითქოსდა სიკეთის მაგალითს იძლევა?! რა მოხდა მერეო, შეიძლება თქვას ზოგიერთმა. აი, რა მოხდა:

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენს მკვიდრმა ქ. მირონაძემ რეალიზაციის მიზნით საკუთარი ავტომანქანა სამართავად გადასცა თანასოფლელ მ. ჩუბინიძეს, მან კი საჭესთან თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გ. თოდუა დასვა, რომელსაც არ ჰქონდა მძღოლის მოწმობა. ავტომანქანა მოძრაობისას ხეს შეეჯახა, რის შედეგადაც მძღოლი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, სამი მგზავრი კი მძიმედ დაშავდა.

მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლებოდა. მხოლოდ მიმდინარე წელს საკუთარი ავტომანქანების სხვა პირებისათვის მინდობილობის გარეშე სამართავად გადაცემის შედეგად რესპუბლიკაში 54 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რამაც 13 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 71 კი მძიმედ დაშავდა!

აი, რა მოგვიტანა ამგვარმა „ხელგაშლილობამ“.

ეროიერთპატივისცემა, თავაზიანობა, სოლიდარობა, ალბათ, სხვა რაიმეში უნდა გამოვიჩინოთ. საგზაო მოძრაობაშიც იგი ნამდვილად ისევე საჭიროა და აუცილებელი, როგორც ცხოვრებისეული ნებისმიერი სიტუაციის დროს. გამიგია, ჩვენში ცხენზე ამხედრებული მთიელი კაცი უმაღ ჩამოქვეითდებოდა ხოლმე, როცა გზად უფროსი ასაკის ადამიანი შეხვდებოდა, მიესალმებოდა, ჩაუკლიდა და მხოლოდ შემდეგ შეჯდებოდა კვლავ ცხენზე. დღეს კი, რა უბედურება გვჭირს, ხშირად მიძნელდება ამის ბოლომდე გაგება. მიძნელდება გაგება, როცა თავგანწირვით, სიცოცხლის ფასად ვცდილობთ გავუსწროთ წინ მიმავალ სხვის ავტომანქანას, გზაჯვარედინზე გადასვლას არ ვაცლით მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს, ან წვიმიან ამინდში ჩვენი ავტომანქანის შხეფებით თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოლუმპულ ქვეითზე რომ გულიანად ვიცინით...

არავინ იფიქროს, რომ ავტოინსპექციას თავზე ხელს ვუსვამ და ზედმეტად ვეფერები; ცხადია, ჩვენს მუშაობაშიც ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ხარვეზები

ბაკურიანი

საბურნირო ორბიტა

რეგბი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. პირველ სამეულში გავიდნენ სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი, ქუთაისის „მშენებელი“ — 53-53 ქულა („მშენებელმა“ ბოლო მატჩი მოუგო თბილისის „ელმავალს“ ანგარიშით 39:18) და კიევის „ავიატორი“ — 52. სოფეგესო ექვსეულში მოხვდნენ აგრეთვე ალმა-ათის ასკ, კრასნოიარსკის „ეფსკავატორტიაფსტროი“ და მოსკოვის „სლავა“. ახლა სწორედ ეს ექვსი გუნდი განაგრძობს ბრძოლას მედლებისათვის. გთავაზობთ ამ გუნდების მატჩების განრიგს: **15 აგვისტო. „მშენებელი“ — ასკ; 16 აგვისტო.** „ავიატორი“ — „ეფსკავატორტიაფსტროი“, აკადემიის გუნდი — „სლავა“; **19 აგვისტო.** „სლავა“ — „ეფსკავატორტიაფსტროი“; **20 აგვისტო.** ასკ — „ავიატორი“; **აკადემიის გუნდი — „მშენებელი“. 23 აგვისტო. —მშენებელი“ — „სლავა“,** „ეფსკავატორტიაფსტროი“ — ასკ; **24 აგვისტო.** „ავიატორი“ — აკადემიის გუნდი; **27 აგვისტო.** აკადემიის გუნდი — „ეფსკავატორტიაფსტროი“, **„მშენებელი“ — „ავიატორი“,** ასკ — „სლავა“; **15 სექტემბერი. „ეფსკავატორტიაფსტროი“ — „მშენებელი“; 16 სექტემბერი.** ასკ — აკადემიის გუნდი, „სლავა“ — „ავიატორი“.

ამასობაში ქუთაისში დაიწყო რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალური ტურნირი. ასპარეზობის პირველ დღეს ქუთაისის „მშენებელმა“ დაამარცხა კრასნოიარსკის „ეფსკავატორტიაფსტროი“ — 18:12, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა კი ალმა-ათის ასკ — 19:9. დღეს ქუთაისელები ხვდებიან ალმა-ათელებს, სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტები — კრასნოიარსკელებს. 13 აგვისტოს ასპარეზობის ბოლო მატჩები გაიმართება.

შეჯიბრაობი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 25-ე ტურის მატჩები ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებმა სტუმრად გამართეს. გთავაზობთ შედეგებს: მოსკოვის „ლოკომოტივი“-ქუთაისის „ტორპედო“ — — 2:0, კემეროვოს „კუზბასი“-ბათუმის „დინამო“ — 0:0. დღეისათვის ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“ — 40 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 34 ქულა ოდესელ „დაუგავი“ — 31. ბათუმის „დინამო“ 21 ქულით მეთექვსმეტე ადგილზეა, ხოლო ქუთაისის „ტორპედოს“ 18 ქულა აქვს და კვლავ მეცხრამეტე ადგილზეა.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში თბილისის „დინამომ“ ადგილობრივ „სიგმასთან“ ამხანაგური შეხვედრა წააგო ანგარიშით 1:2.

მალეოსნობა. საბერძნეთის ქალაქ დრამაში გამართულ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბერძნეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ბულგარელმა გინკა ზაგორჩევამ 100 მეტრზე თარჯრეზში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 12,25. ეს შედეგი 0,01 წამით უკეთესია ზაგორჩევას თანამემამულე იორდანკა დონკოვას მიერ თითქმის ერთი წლის წინათ ლიუბლიანაში (იუგოსლავია) დამყარებულ რეკორდზე.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

მოსკოვი

11 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.35 — ა. პ. ჩეხოვი. „ძია ვანი“. ფილმ-სპექტაკლი. 12.15 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — დედის სკოლა. 17.45 — რატომ და რისთვის. 18.20 — ლისტი. № 1 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 18.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ხსოვნა“. 19.15 — ადამიანი და კანონი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმები. 20.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — შეხვედრა მწერალ პ. პროსკურინთან. 0.05 — დღეს მსოფლიოში. 0.20 — ტრიო „ფარფარელოს“ კონცერტი (გფრ).

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00 — ლიტერატური მუსიკალური ფოლკლორის კონცერტი. 10.40 — მულტფილმები. 11.10 — ფილმ-პაექტი. 11.40 — ფრანგული ენა. 12.10 — მღერის ვ. ფტომენკო. 12.30 — რუსული მეტყველება. 13.00 — ფილმი — ბავშვებს. „მგეშავები“. IV და V სერია. 13.50 — ევროპის ჩემპიონატი ინტერში. 14.20 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.00 — ყველასა და ოითოეულისათვის. ვალენტინა გოლუბევა: ფიქრები გარდაქმნაზე. 20.30 — ფეხბურთი. „არარატი“ — „დნეპრი“. მე-2 ტაიმი. 21.15 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.30 — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მხატვრული ტელეფილმი „მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები“. I სერია. 23.55 — ახალი ამბები.

ბაკინსკი ტელევიზია

11 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“ (მ.). 9.30 — მოამბე. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო, საკავშირო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „მზე ჯიბეში“. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი“. 18.15 — განცხადებები. 18.20 — მხიარული მელოდიები. 18.50 — მოქალაქე, საზოგადოება, კანონი. სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 19.05 — „გარდაქმნის კურსით“. სოციალისტური შეჯიბრება ახალ საფეხურზე. 19.55 — მოამბე. 20.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „საბჭოთა თურქმენეთი“. თურქმენეთის ტელევიზიის პროგრამა